პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სპეციალისტების მომზადება სამრეწველო, სერვისულ და საპროექტო საწარმოთა საქმიანობის მართვის ამოცანების შესასრულებლად, რაც მოიცავს: ოპერაციულ საქმიანობასთან მიმართებაში ორგანიზაციული პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობას; რესურსების სისტემატიზაციას და მათი რაციონალური გამოყენების დაგეგმვას, ორგანიზებას და კონტროლს; შემსრულებელთა მოტივაციას ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და მათი კოორდინირებული თანამშრომლობის უზრუნველყოფას; ტექნოლოგიური გადაიარაღების და ახალი ნაწარმის/სერვისის ათვისების პროექტების შედგენასა და რეალიზებაში ქმედით მონაწილეობას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. განმარტავს მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებს, სამრეწველო ოპერაციათა მართვისთვის გამოყენებულ მიდგომებს და საწარმოთა ორგანიზაციულ გარემოზე მოქმედ ფაქტორებს;
2. აღწერს ბიზნეს და ეკონომიკურ გარემოს, მიმდინარე მოვლენებს, პროცესებს და ახდენს მათ ინტერპრეტირებას ოპერაციული და პროექტების სარეალიზაციო საქმიანობის გასაუმჯობესებელ წინადადებებში, რომლებიც მომხმარებელთა მოლოდინების უკეთ დაკმაყოფილებას ისახავენ მიზნად;
3. მოიძიებს და აანალიზებს ორგანიზაციის შიდა ოპერაციული პოტენციალის აღმწერ მონაცემებს, აფასებს გლობალიზაციით შექმნილ გარე სამეწარმეო შესაძლებლობებს და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, გეგმავს და ატარებს ორგანიზაციის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს;
4. ორგანიზაციის ოპერაციული და პროექტების სარეალიზაციო საქმიანობის რესურსული უზრუნველყოფის მართვის მიზნით, იყენებს როგორც საერთო დანიშნულების პროგრამულ პროდუქტებს (Microsoft Excel, MicrosoftProject), ისე წარმოების დაგეგმვისა და მართვისთვის განკუთვნილ სპეციალიზებულ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს: Excel QM, POM QM for Windows, SPSS, NetEmul, Cisco Packet Tracer, Arena, ORIS-ბუღალტერია, MRP და ERP-სისტემებს;
5. ამყარებს კომუნიკაციას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან: მომხმარებლებთან, საკუთარი ორგანიზაციის თანამშრომლებთან, სხვა კოლეგებთან ქართულ და უცხოურ ენაზე. შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებებს, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებს და მათთან შესაბამისობაში მიღებულ გადაწყვეტილებებს;
6. მონაწილეობს პროექტების, ოპერაციების და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელების პროცესში; აორგანიზებს ოპერაციული საქმიანობის შესაბამისობას კორპორაციულ სტრატეგიასთან; აგეგმარებს საწარმოო აქტივობებს, ოპერაციებს და პროცესებს, უზრუნველყოფს მათ შესრულებას შედეგების მაღალი ეკონომიურობითა და ხარისხიანობით;

7. განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში, ეთიკური პრინციპების დაცვით, ასრულებს შემდეგ მენეჯერულ ფუნქციებს: *დაგეგმვის* - ირჩევს ორგანიზაციის ოპერაციული სისტემის მიზნებს და მათი მიღწევის მექანიზმებს; *ორგანიზების* - წარმართავს მისდამი დაქვემდებარებული შემსრულებლების საქმიანობას სათანადო გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ოპერაციების ზუსტი და ურთიერთკოორდინირებული შესრულების უზრუნველყოფით; *მოტივაციის* - არჩევს ოპერაციათა დაპროექტების შემსრულებლებს დაგეგმილი საქმიანობისთვის მათი სრული შესაბამისობის დაცვით; არკვევს შემსრულებლების მოლოდინებს სამუშაოსადმი და უზრუნველყოფს მათ დაკმაყოფილებას; *კონტროლის* - ატარებს მაკორექტირებელ მოქმედებებს ოპერაციული სისტემის მუშაობის გეგმებთან და ნორმატიულ მაჩვენებლებთან სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით; აორგანიზებს შემსრულებელთა მრავალფუნქციური გუნდების *კოორდინირებულ* მუშაობას;
8. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ფლობს ინჟინრულ ცოდნას და უნარებს: გააჩნია საერთო წარმოდგენა ძირითად საწარმოო და ტექნოლოგიურ მოწყობილობებზე, სისტემებზე და პროცესებზე; იცნობს ფუნქციებს, რომლებსაც ინჟინრები ასრულებენ ტექნიკური ობიექტების დაგეგმარების, წარმოების და ექსპლუტაციის პროცესში; ახდენს ინჟინერთა საქმიანობის ორგანიზებას წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად.
9. ობიექტურად აფასებს და ახდენს საკუთარი პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას; გეგმავს და დამოუკიდებლად ეუფლება საჭირო ცოდნის ახალ ელემენტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასება თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც ასახულია თითოეული სასწავლო კურსის პროგრამაში (სილაბუსში.) დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებ(ებ)ის კომპონენტ(ებ)ში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასება სასწავლო კურსის პროგრამის შესაბამისად, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი დოკუმენტური მასალის სახით. სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ https://gtu.ge/pdf/forms-instructions/educational-process.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ფიზიკა	4
2	გამოყენებითი ინფორმატიკა	4
3	მიკროეკონომიკა	4
4	შესავალი სპეციალობაში	4
5	მენეჯმენტის საფუძვლები	4
6	**არჩევითი სასწავლო კურსები**	
6.1	პრეკალკულუსი	4
6.2	ზოგადი ქიმია A	
7	**არჩევითი უცხოური ენა 1 (ენის არჩევით)**	
7.1	ინგლისური ენა - 1	5
7.2	გერმანული ენა - 1	
7.3	ფრანგული ენა - 1	
7.4	რუსული ენა - 1	
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები	
8	კალკულუსი 1	5
9	აკადემიური წერის ელემენტები	3

10	მაკროეკონომიკა	5
11	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5
12	**არჩევითი უცხოური ენა 2 (ენის არჩევით)**	
12.1	ინგლისური ენა - 2	5
12.2	გერმანული ენა - 2	
12.3	ფრანგული ენა - 2	
12.4	რუსული ენა - 2	
13	**ჰუმანიტარული ციკლის არჩევითი საგნები** (პროგრამის თავისუფალი კომპონენტი)	
13.1	ფილოსოფიის საფუძვლები	3
13.2	შესავალი ფსიქოლოგიაში	
13.3	სოციოლოგიის შესავალი	
13.4	საქართველოს ისტორია	
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები	
14	ზოგადი ელექტროტექნიკა	5
15	კალკულუსი 2	5
16	მეწარმეობის საფუძვლები	4
17	გარემოს დაცვა და ეკოლოგია (პროგრამის თავისუფალი კომპონენტი)	3
18	ინჟინერინგის მენეჯმენტი	3
19	მარკეტინგის საფუძვლები	5
20	**არჩევითი უცხოური ენა 3 (ენის არჩევით)**	
20.1	ინგლისური ენა - 3	5
20.2	გერმანული ენა - 3	
20.3	ფრანგული ენა - 3	
20.4	რუსული ენა - 3	
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები	
21	უსაფრთხოება საწარმოო სისტემებში	4
22	**არჩევითი უცხოური ენა 4 (ენის არჩევით)**	5
22.1	ინგლისური ენა - 4	
22.2	გერმანული ენა - 4	
22.3	ფრანგული ენა - 4	
22.4	რუსული ენა - 4	
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები	
23	ფინანსური აღრიცხვა	5
24	ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები	4
25	ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკა და საქართველო	3

26	ბიზნესი და საზოგადოება (პროგრამის თავისუფალი კომპონენტი)	5
27	საწარმოო და სასაწყობო აღჭურვილობის ექსპლუატაცია	4
28	**არჩევითი სასწავლო კურსები**	
28.1	ელექტროტექნიკური და ელექტრონული წარმოების ტექნოლოგია	5
28.2	ზოგადი ელექტრომომარაგება	
28.3	საწარმოო სისტემები და პროცესები	
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები	
29	ელექტრომზომელობა	3
30	პროექტების მენეჯმენტი	5
31	გამოყენებითი სტატისტიკის ელემენტები	3
32	მენეჯერული ანგარიშგება	5
33	ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები	5
34	სისტემათა ინჟინერინგის საფუძვლები	5
35	**არჩევითი სასწავლო კურსები**	
35.1	ენერგიის ალტერნატიული წყაროები და ენერგიის დაზოგვა	4
35.2	შესავალი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში	
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები	
36	მომსახურების ორგანიზაცია და მართვა	5
37	საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტი	5
38	გადაწყვეტილებების მიღების რაოდენობრივი მეთოდები	5
39	საწარმოო სისტემების ქსელური მოდელირების საფუძვლები	5
40	ხარისხის მართვის საფუძვლები	5
41	**არჩევითი სასწავლო კურსები**	
41.1	პერსონალის ქოუჩინგი	5
41.2	გუნდური მუშაობის ორგანიზება და მართვა	
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები	
42	ოპერაციათა მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები	5
43	ბიზნესის დაგეგმვა	5
44	სამეწარმეო სამართლის საფუძვლები	5
45	პროდუქტის მენეჯმენტი	5
46	სტრატეგიული მენეჯმენტი	5
47	სამეწარმეო რისკების მართვა	5

48	საწარმოო რესურსების დაგეგმვის MRP სისტემები	5
49	საინჟინრო მენეჯმენტის პროცესების მოდელირების სისტემები	5
50	მარაგების და მიწოდების ჯაჭვების მართვა	5
51	**არჩევითი სასწავლო კურსები**	
51.1	ინოვაციური საქმიანობის ფინანსური ანალიზი	5
51.2	პროექტების ბიუჯეტირება და კონტროლინგი	
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსი	
52	საბაკალავრო ნაშრომი	10